ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №171

9 ივნისი 2014 წ.

უძრავ ქონებაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების
რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,პ.ბ.“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილების, ს.ს.ი.პ. ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“–ს 2014 წლის 28 მაისის №5/18753 წერილისა და ი.მ. ,,დ. თენეიშვილის“ მიერ დამზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიის (დამზადების თარიღი – 08.11. 2012 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. უძრავ ქონებაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – ,,საჯარო რეესტრი“), რათა განახორციელოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე 400.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია.
2. საჯარო რეესტრში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ვლადიმერ ლომთათიძეს (პ/ნ – №46001002560).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე